საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-08/85

ქ.ბათუმი 12 ივლისი, 2018 წ.

ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირებთან გასაუბრების ჩასატარებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების, ,,საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანების, ,,ბსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის N34 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ პირებთან, რომელთაც სურთ ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ამ პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ჩატარდეს გასაუბრება ქართულ ან ინგლისურ ენაში (იმ პროგრამის ენის შესაბამისად, რომელზეც სწავლა სურს განმცხადებელს).
2. გასაუბრების თემატიკა და ხანგძლივობა განისაზღვროს:

ა) ქართული ენაში გასაუბრებისათვის - ბსუ-ს ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის მიერ;

ბ) ინგლისურ ენაში გასაუბრებისათვის - ბსუ-ს განათლების ფაკულტეტის უცხო ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ:

3. წინამდებარე ბრძანების მიზნებისათვის ბსუ-ს განათლების ფაკულტეტის უცხო ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის და ბსუ-ს ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის მიერ:

ა) შემუშავებული იქნეს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამის გასაუბრების თემატიკა და განისაზღვროს გასაუბრების ხანგრძლივობა;

ბ) გასაუბრების ჩატარებისა და გასაუბრების ვიდეოჩანაწერის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობისათვის რესურსების (მატერიალური/ადამიანური) საჭიროების შესახებ სამსახურებრივი ბარათი წარმოდგენილი იქნეს **ბსუ-ს რექტორისათვის არაუგვიანეს 2018 წლის 23 ივლისისა;**

გ) შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, ფაკულტეტების ადმინისტრაციასთან კოორდინირებული მუშაობით, უზრუნველყოფილი იქნეს ბსუ-ში ჩარიცხვის მსურველებთან შესაბამის ენაში გასაუბრება (იმ პროგრამის ენის შესაბამისად, რომელზეც სწავლა სურს განმცხადებელს);

დ) ბსუ-ში ჩარიცხვის მსურველთან ჩატარებული გასაუბრების ვიდეოჩანაწერი დაარქივებული იქნეს და მიეწოდოს შესაბამის ფაკულტეტსა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს.

4. წინამდებარე ბრძანების მიზნებისათვის ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციამ ორგანიზება გაუწიოს ბსუ-ში ჩარიცხვის მსურველთან გასაუბრების ჩატარებას (გასაუბრების დროის, ადგილის, ფორმატის, პირობების, თემატიკის შესახებ მათთან კომუნიკაცია), ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის N34 დადგენილებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებას და მიღებული შედეგების შესახებ შესაბამისი სტრუქტურებისათვის ინფორმაციის წარდგენას.

5. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს (სასწავლო პროცესის მიმართულებით).

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, განათლების ფაკულტეტს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**